

სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

მათემატიკის მასწავლებელი

1) დაფაზე ხუთი წილადი რიცხვი წერია: $\frac{1}{6}; \frac{7}{6}; \frac{5}{5}; \frac{1}{2}; \frac{2}{3}$.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი წესიერი წილადი წერია დაფაზე?

- 1) ერთი 2) ორი **3) სამი** 4) ოთხი



ბ) რამდენი არაწესიერი წილადი წერია დაფაზე?

- 1) ერთი **2) ორი** 3) სამი 4) ოთხი



გ) დაფაზე დაწერილ წილადებს შორის რამდენია ერთ მთელზე მეტი?

- 1) ერთი** 2) ორი 3) სამი 4) ოთხი

2) მართკუთხედის პერიმეტრია 68 სანტიმეტრი. თუ მოცემული მართკუთხედის სიგრძეს შევამცირებთ 8 სანტიმეტრით მივიღებთ კვადრატს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რას უდრის მართკუთხედის პერიმეტრი?

- 1) 34 სმ-ს 2) 60 სმ-ს **3) 68 სმ-ს** 4) 136 სმ-ს



ბ) რა ფიგურას მივიღებთ, თუ მოცემული მართკუთხედის სიგრძეს შევამცირებთ 8 სმ-ით?

- 1) სამკუთხედს **2) კვადრატს** 3) ხუთკუთხედს 4) კუბს



გ) რას უდრის მოცემული მართკუთხედის სიგრძე?

- 1) 23 სმ-ს **2) 21 სმ-ს** 3) 15 სმ-ს 4) 13 სმ-ს

3) მაღაზიაში ერთნაირი მასის 6 ტომარა ფქვილი მიიტანეს. თითოეული ტომრიდან მასში არსებული ფქვილის მეოთხედი ნაწილი გაყიდეს, რის შედეგადაც ყველა ტომარაში ერთად 324 კილოგრამი ფქვილი დარჩა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ტომარა ფქვილი მიიტანეს მაღაზიაში?

- 1) სამი **2) ექვსი** 3) ცხრა 4) თორმეტი



ბ) ფქვილის რა ნაწილი გაყიდეს თითოეული ტომრიდან?

- 1) ნახევარი 2) მესამედი **3) მეოთხედი** 4) მეხუთედი



გ) რამდენი კილოგრამი ფქვილი გაყიდეს?

- 1) 648 კგ **2) 108 კგ** 3) 72 კგ 4) ამის გაგება შეუძლებელია

4) ბებიამ ხაჭაპური ექვს ტოლ ნაჭრად დაჭრა. გვანცამ 2 ნაჭერი აიღო.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენ ტოლ ნაჭრად დაჭრა ბებიამ ხაჭაპური?
1) 3 ნაჭრად 2) 4 ნაჭრად 3) 5 ნაჭრად 4) 6 ნაჭრად

2 ბ) რამდენი ნაჭერი აიღო გვანცამ?
1) 1 ნაჭერი 2) 2 ნაჭერი 3) 3 ნაჭერი 4) 4 ნაჭერი

7 გ) დარჩენილის რა ნაწილი უნდა აიღოს გვანცამ კიდევ, რომ მას მთელი ხაჭაპურის ნახევარი ჰქონდეს?
1) $\frac{1}{4}$ 2) $\frac{1}{6}$ 3) $\frac{2}{4}$ 4) $\frac{3}{6}$

5) მარანში ორი ერთნაირი ტევადობის ქვევრი იყო, ერთი ნახევრადსავსე, მეორე კი ცარიელი. ბაბუამ მარანში 96 ლიტრი ღვინო მიიტანა. მან მარანში მიტანილი ღვინით ნახევრადსავსე ქვევრი ბოლომდე, ხოლო ცარიელი ქვევრის მეოთხედი ნაწილი შეავსო.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი ლიტრი ღვინო მიიტანა ბაბუამ მარანში?
1) 192 ლიტრი 2) 96 ლიტრი 3) 64 ლიტრი 4) 32 ლიტრი

5 ბ) მარანში მიტანილი ღვინის რა ნაწილი ჩაასხა ბაბუამ ცარიელ ქვევრში?
1) $\frac{1}{4}$ ნაწილი 2) $\frac{1}{2}$ ნაწილი 3) $\frac{1}{3}$ ნაწილი 4) $\frac{2}{3}$ ნაწილი

7 გ) მინიმუმ კიდევ რამდენი ლიტრი ღვინო უნდა მიიტანოს ბაბუამ მარანში იმისათვის, რომ მეორე ქვევრი ბოლომდე შეავსოს?
1) 128 ლიტრი 2) 96 ლიტრი 3) 64 ლიტრი 4) 32 ლიტრი


6) აწონეს 2 ერთნაირი მასის ნესვი და 1 საზამთრო. 1 ნესვი 8 კილოგრამით მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე 1 საზამთრო. ასევე ცნობილია, რომ საზამთროს მეოთხედი ნაწილი 2-ჯერ უფრო მსუბუქია, ვიდრე 1 ნესვი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენჯერ მსუბუქია საზამთროს მეოთხედი ნაწილი ერთ ნესვზე?
1) 2-ჯერ 2) 3-ჯერ 3) 4-ჯერ 4) 8-ჯერ

2 ბ) რამდენი კილოგრამით მსუბუქია ერთი ნესვი ერთ საზამთროზე?
1) 4 კგ-ით 2) 6 კგ-ით 3) 8 კგ-ით 4) 16 კგ-ით


5 გ) რამდენი კილოგრამით მძიმეა ნახევარი საზამთრო ნახევარ ნესვზე?
1) 2 კგ-ით 2) 4 კგ-ით 3) 6 კგ-ით 4) ტოლია

7 დ) რას იწონის ერთი ნესვი?
1) ოთხ კგ-ს 2) რვა კგ-ს 3) თქვამეტ კგ-ს 4) ამის გაგება შეუძლებელია


 7) ყუთში სამი სხვადასხვა ფერის ორ-ორი ცალი ბურთია მოთავსებული. თუ ყუთში ჩაუხედავად სამი ბურთი უნდა ამოვიღოთ, მაშინ ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი?

- ამოღებულ ბურთებს შორის სამივე ერთი ფერის იქნება;
- ამოღებულ ბურთებს შორის სამივე აუცილებლად სხვადასხვა ფერის იქნება;
- ამოღებულ ბურთებს შორის შესაძლებელია სამივე სხვადასხვა ფერის ბურთი იყოს.


1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) არც ერთი

 8) თავლაში 4 მამალი და 3 დედალი ცხენია. ცნობილია, რომ მამალ ცხენს თითოეულ ჩლიქზე ნაღს 3 ლურსმნით აჭედებენ. რამდენი ლურსმნით აჭედებენ დედალ ცხენს თითოეულ ჩლიქზე ნაღს, თუ ცნობილია, რომ შვიდივე ცხენისთვის ყველა ჩლიქზე ნაღების დასაჭედებლად 108 ლურსმანია საჭირო? (იგულისხმება, რომ დედალ ცხენს თითოეულ ჩლიქზე ნაღებს ერთი და იგივე რაოდენობის ლურსმნებით აჭედებენ)


1) სამი 2) ოთხი 3) ხუთი 4) ექვსი

 9) დათომ, მაიამ, ბადრიმ, ნიტამ და გიორგიმ ვაშლის ხის 2 და მსხლის ხის 3 ნერგი დარგეს. თითოეულმა დარგო თითო ნერგი. დათომ და მაიამ სხვადასხვა ხილის ნერგები დარგეს, ხოლო ბადრიმ და ნიტამ – ერთი და იგივე ხილის. რომელი ხილის ნერგები დარგეს ბადრიმ და ნიტამ?


1) მსხლის 2) ვაშლის 3) ატმის 4) ამის გაგება შეუძლებელია

 10) მაღაზიაში ფქვილი სამკილოგრამიანი და ხუთკილოგრამიანი შეფუთვით იყიდება. ბებიამ იმდენი ცალი სამკილოგრამიანი შეფუთვა იყიდა, რამდენიც – ხუთკილოგრამიანი. მას, რომ ფქვილი სამკილოგრამიანი შეფუთვების ნაცვლად ხუთკილოგრამიანი შეფუთვებით ყვიდა, მაშინ იგი სულ 30 კილოგრამ ფქვილს იყიდა. ფქვილის რამდენი ცალი სამკილოგრამიანი შეფუთვა იყიდა ბებიამ?

1) თხუთმეტი 2) ცხრა 3) ექვსი 4) სამი

 11) კოტე კინოს ბილეთის რიგში დგას. რიგში კოტეს წინ მხოლოდ ქალბატონები და მამაკაცები დგანან. თუ კოტეს წინ მდგომი მამაკაცების ნახევარი რიგს დატოვებს, მაშინ კოტე რიგში მეცხრე აღმოჩნდება. ხოლო, თუ კოტეს წინ მდგომი ყველა ქალბატონი დატოვებს რიგს, მაშინ იგი რიგში მეთერთმეტე აღმოჩნდება. რამდენი ქალი დგას რიგში?

1) რვა 2) ხუთი 3) სამი 4) ამის გაგება შეუძლებელია

 12) მოსწავლემ 3 უტოლობის დასაწერად 6 რიცხვი გამოიყენა (სურათი 2). აღმოჩნდა, რომ მოსწავლის მიერ დაწერილი უტოლობებიდან ორი მცდარი იყო, ერთი კი – ჭეშმარიტი. თუ მოსწავლის მიერ დაწერილ თითოეულ უტოლობაში ნიშნებს საპირისპიროთი შევცვლით (მეტობას ნაკლებობით, ხოლო ნაკლებობას მეტობით), მაშინ რამდენი უტოლობა იქნება ჭეშმარიტი? (მოსწავლის მიერ დაწერილი რიცხვები სურათზე აღნიშნულია კითხვის ნიშნებით)

?	>	?
?	<	?
?	>	?
სურათი 2		

1) ერთი 2) ორი 3) სამი

4) ამის გაგება შეუძლებელია, რადგან არ ვიცით უტოლობების დასაწერად რა რიცხვები გამოიყენა მოსწავლემ